ხელშეკრულება № 65

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური **28 აპრილი 2017 წელი**

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის **თამაზ ჯინჭარაძის** სახით და მეორე **მხრივ, შ.პ.ს. ,,ხევი+" (საინ.კოდ 441993933), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მამალაძის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების კანონის და სახ. შესყიდვების სააგენტოს თავმდომარის ბრძანება N13-ის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინასნების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N824 განკარგულება.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: --- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

1) დაბა, სასპორტო სკოლის შენობის სახურავის აღდგენა-130 000 ლარი
2) 26 ბინიანი საცხოვრებელი სახლის შეფუთვა-30 000 ლარი
3) ცენტრალური სტადიონის ტრიბუნის სახურავის აღდგენა-15 000 ლარი
4) საჭამიასერის ადმინისტრაციული შენობის სახურავის აღდგენა-20 000 ლარი
5) დიდივანის ადმინისტრაციული შენობის სახურავის აღდგენა ნაწილობრივ-15 000 ლარი
6) ფარცხმის ადმინისტრაციული შენობის სახურავის აღდგენა-30 000 ლარი
7) ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბუკნარის საბავშვო ბაღის აღდგენა-25 000 ლარი
8) ზემოსურების ადმინისტრაციული შენობის სახურავის აღდგენა-25 000 ლარი
9) ზემოსურების საექიმო ამბულატორიის შენობის სახურავის აღდგენა 10 000 ლარი.

(CPV – 71300000)

საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლიარად და უნდა ახლდეს ელექტრონული ვერსია.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **6000** (ექვსიათასი) **ლარი.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურეობა ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

6. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 **მომსახურეობის** მიწოდება განხორციელდებ: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2.

6.2. **მომსახურეობის** მიწოდება განხორციელდება **2017 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 5 მაისის ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურება შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2017 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 5 მაისის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 5 ივნისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“ ---------- თ. ჯინჭარაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
საინდ/კოდი 242008705

„მიმწოდებელი“ ---------- გ. მამალაძე

შ.პ.ს. „ხევი+“
საინდ/კოდ 441993933
ს.ს. „თიბისი ბანკი“
საინდ. კოდი TBCBGE22
ანგ. № GE49TB7392336050100001

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისშესახებ

ჩოხატაური 28 აპრილი 2017 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი - თამაზ ჯინჭარაძე ვადასტურებ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შ.პ.ს. „ხევი+“ (საინ.კოდ 441993933) შორის 2017 წლის 28 აპრილს გაფორმებული N65 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა: დაბა, სასპორტო სკოლის შენობის სახურავის აღდგენა-130 000 ლარი; 26 ბინიანი საცხოვრებელი სახლის შეფუთვა-30 000 ლარი; ცენტრალური სტადიონის ტრიბუნის სახურავის აღდგენა-15 000 ლარი; საჭამიასერის ადმინისტრაციული შენობის სახურავის აღდგენა-20 000 ლარი; დიდივანის ადმინისტრაციული შენობის სახურავის აღდგენა ნაწილობრივ-15 000 ლარი; ფარცხმის ადმინისტრაციული შენობის სახურავის აღდგენა-30 000 ლარი; ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბუკნარის საბავშვო ბაღის აღდგენა-25 000 ლარი; ზემოსურების ადმინისტრაციული შენობის სახურავის აღდგენა-25 000 ლარი; ზემოსურების საექიმო ამბულატორიის შენობის სახურავის აღდგენა 10 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა - 6000 ლარი), გამარტივებულ შესყიდვაში (კლასიფიკატორის CPV კოდი - 71300000, დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: **თამაზ ჯინჭარაძე**